

თამაზ ვარვარიძე

მხატვარი, დიზაინერი

თამაზ ვარვარიძის ნამუშევრებს დღეს ასობით წიგნის გარეკანზე შეხვდებით. თანამედროვე და კლასიკური ლიტერატურის ქართულენოვანი შედევრების გაცნობა სწორედ თამაზ ვარვარიძის დიზაინით შექმნილი გარეკანიდან იწყება. 1976 წლიდან, თამაზ ვარვარიძე მონაწილეობს ათობით საერთაშორისო, თუ ადგილობრივ გამოფენებში. 2002 წელს, წიგნის მე-4 საერთაშორისო ფესტივალზე მას გადაეცა პრიზი წიგნის საუკეთესო მხატვრული გაფორმებისთვის, 2001 წელს კი, რეკლამის კავკასიის საერთაშორისო ფესტივალის პრიოზიორი გახდა. მისი ნამუშევრები დაცულია თბილისის ეროვნულ გალერეაში, ზიმერლის ხელოვნების მუზეუმში (აშშ), კანაგავას თანამედროვე გრაფიკული ხელოვნების მუზეუმში (იაპონია) და მსოფლიოს კიდევ რამდენიმე ქვეყანაში. დღეს ის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში, გრფიკის კათედრას ხელმძღვანელობს და ამავე დროს არის გრაფიკული დიზაინის ასოციაციის პრეზიდენტი.

ილუსტრაციებში საკუთარი თავის წარმოჩენაზე საუბრისას, თამაზ ვარვარიძე სტალინისა და ლენინის ჩინურ პორტრეტებს იხსენებს, რომელთა ავტორებიც ამ ნამუშევრებში ისტორიული პირების გააზრებას ნაციონალურ ჭრილში გვთავაზობენ. მხატვარი დარწმუნებულია, რომ ილუსტრაციებზე მუშაობა საკუთარ თავთან და კულტურასთან მიმსგავსების ინსტინქტური პროცესია. თამაზ ვარვარიძე, როგორც წიგნის დიზაინერი, ამ იდეას შემოქმედებითი თავისუფლების კონტექსტში განიხილავს:

„ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი შემოქმედებითი თავისუფლებაა, ჩვეულებრივი მოვლენის ან ობიექტის სრულიად მოულოდნელი კუთხით წარმოჩენა, იდეაც, მაშინ ხდება სხარტი და ადამიანზე ზემოქმედებას ახდენს. ამიტომ პარადოქსული აზროვნება და არასტანდარტული ხედვა პირად თვისებად უნდა გადაიქცეს. ამ შემთხვევაში უფრო სრულად ხდება საკუთარი პოტენციალის გამოვლენა და ინდივიდუალური ხედვის, თუ მეთოდების რეალიზაცია. საუკეთესო სინთეზია, როდესაც ერთდროულად ხარ მხატვარიც და დიზაინერიც, განსაკუთრებით დღეს, როდესაც შემოქმედებითი თვალსაზრისით წიგნი გათავისუფლდა გარკვეული სტანდარტებისგან და შეიძინა ჭეშმარიტად დემოკრატიული უფლებები. და მაინც, დიზაინერი თითქმის ყოველთვის ასრულებს დაკვეთას და ამდენად დამოკიდებულია გამომცემელზე და ავტორზე, გამომცემელი თავის მხრივ დამოკიდებულია ბაზარზე, რომელიც ხშირად განსაზღვრავს მოთხოვნას, როგორც თემატურად, ასევე გაფორმების კუთხით. თუმცა მე მაქვს ფუფუნება, ისეთი წიგნები გავაფორმო, რომელიც მომწონს. მაგალითად აკა მორჩილაძის წიგნები, ან სხვა ავტორები“.

M
P
b(ход)
2b